



ყვარლი

გამოდის 1932 წლიდან

ფასი 40 თეთრი

კახეთის გუბერნატორი ერთი სამუშაო დღე ყვარლში იმყოფებოდა და ამ ვიზიტმა უამრავი პრობლემის მოგვარებას შეუწყო ხელი



ტრუქტურული პროექტებით დაინტერესდა და თითოეულ ობიექტზე ხელმძღვანელი პირებისაგან ინფორმაციები მოისმინა მიმდინარე სამუშაოების შესახებ. ირაკლი ქადაგიშვილმა და ილია მზექალაშვილმა ყვარლის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების 2016 წლის ნარჩინებული კურსდამთავრებულები ოქროს და ვერცხლის მედლებით დააჯილდოვეს. სახელმწიფო რწმუნებულს კახეთის მხარეში ირაკლი ქადაგიშვილს თან ახლდნენ სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის უფროსი ნინო უტიაშვილი, რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსი მალხაზ ჭრელაშვილი, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ბენედიქტე გეგეჭკორი, სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მადონა ბატიაშვილი, რომლებიც გამგეობის სამსახურების ხელმძღვანელებს შეხვდნენ და მიმდინარე საქმიანობას გაეცნენ. კახეთის გუბერნატორი ერთი სამუშაო დღე ყვარლში იმყოფებოდა და ამ ვიზიტმა უამრავი პრობლემის მოგვარებას შეუწყო ხელი.

ალექსანდრა გიგილოშვილი

კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის თანამდებობაზე ირაკლი ქადაგიშვილის დანიშნვის შემდგომ, მისივე ინიციატივით კახეთის მუნიციპალიტეტებში იმართება სამუშაო შეხვედრები და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ხელმძღვანელებისაგან, სამსახურების უფროსებისაგან ინფორმაციებს ისმენს არსებული მდგომარეობის შესახებ და ერთობლივად სახავენი ღონისძიებებს პრობლემების გადაწყვეტისათვის.

19 ივლისს კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის ირაკლი ქადაგიშვილი ყვარლის მუნიციპალიტეტს ეწვია და ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის ილია მზექალაშვილთან, ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესთან ჯემალ შავერდაშვილთან ერთად გამგეობის თანამშრომლებს შეხვდა და მათგან მიმდინარე საქმიანობის თაობაზე ინფორმაციები მოისმინა.

ირაკლი ქადაგიშვილმა გამგეობის მიმდებარე მოსული მოქალაქეების პრობლემები მოისმინა და მათი მოგვარებისათვის დაისახა საჭირო ღონისძიებები.

სახელმწიფო რწმუნებულის კახეთის რეგიონში ირაკლი ქადაგიშვილი ინფორმაციას



...განათლება სომ ჩვენი ქვეყნის ქვაკუთხედი და განათლების დონე, პირდაპირ პროპორციულად აისახება ქვეყნის წინსვლასა და განვითარებაზე...



სასწავლო პროცესი ყვარლის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში საკმაოდ ნარმატიულად მიმდინარეობს ყოველწელს, რაც გამოიხატება წლის ბოლოს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების შეფასებისას და ეროვნულ გამოცდებზე მიღწეული შედეგებით.

ტრადიციულად გათვალისწინებული ინტერვიუს ყვარლის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსთან ქალბატონ ქეთევან ჭიპაშვილთან.

– ქალბატონ ქეთევან, როგორ შეაფასებთ განვლილ სასწავლო წელს. რით გაამორჩევიდა წინა სასწავლო წლებისგან?

– საქართველოს მთავრობისათვის რომ განათლება და განათლების სისტემა 1 პრიორიტეტია, ჩვენმა საზოგადოებამ კარგად იცის. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ისევე როგორც

2015-2016 სასწავლო წელი, 2016-2017 სასწავლო წელიც მთლიანად მასწავლებლებს მიუძღვნა! სახელმწიფო აგრძელებს მასწავლებლებზე, მის უწყვეტ პროფესიულ განვითარებასა და მოტივაციის ამაღლებაზე ზრუნვას. 2016-2017 სასწავლო წლიდან ამოქმედდება მასწავლებლის საქმიანობის დანაშაულის, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სტემა და მასწავლებლებმა უკვე აქტიურად დაიწყეს კრედიტულების მოგროვება...

მოკლედ მიმოვიხილავ იმ მიმდინარე პროგრამებს და პროექტებს, რასაც დღეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახორციელებს და შესაბამისად, ქალაქ ყვარლის საგანმანათლებლო რესურსცენტრი აქტიურად გახლავთ ჩართული.

გაგრძელება მე-2 გვ. -ზე

მონატრიაშვილი სპექტაკლის პრემიერა სექტემბრის ბოლოს გაიმართება

თეატრი ბერძნულად სანახაობების ადგილს ნიშნავს და ორი მნიშვნელობით გამოიყენება:

1. თეატრი, როგორც ხელოვნების დარგი, თეატრის გამოხატვის სპეციფიკური საშუალებაა სცენური მოქმედებები, რომლებიც სრულდება მსახიობთა გამოსვლის (თამაშის როლის შესრულების) დროს.

2. თეატრი, როგორც შენობა, სასცენო ადგილი, სადაც ტრადიციულად ხდება თეატრალური ნაწარმოების წარმოდგენა.

ქართული თეატრის ისტორიიდან ვიცით მე-19 და მე-20 საუკუნის საქართველო თეატრალური ცხოვრების განვითარების პიკზე იყო. ამ დროს იდგებოდა ისეთი სპექტაკლები, რომლებიც ცვლიდნენ ადამიანების მსოფლმხედველობას, იღებდნენ ცხოვრებისეულ გამოცდილებას, სწავლობდნენ სხვის შეცდომებს, იმიტომ, რომ სპექტაკლი შექმნილია და დადგმული იყო რეალურ მოვლენებზე. თეატრი ეს ის ადგილია, სადაც შენს ცხოვრებას გვერდიდან უყურებ, შეიძლება რომელიმე მსახიობში შენი თავი დაინახო... კინოსგან განსხვავებით თეატრში ყველა სიტყვა, გრძობა და მოქმედება უფრო მძაფრ და რეალურ შეგრძობებს ტოვებს მაყურებელში ვიდრე ტელევიზორში ნახაბი რომელიმე ფილმი.

ერთი სიტყვით იმის თქმა მინდა, რომ თეატრი არ კვდება, უბრალოდ დრო ცვლის ყველაფერს და მასთან ერთად უნდა შეიცვალოს თეატრიც.

ქართული თეატრის აღმავლობა, ახალი სათეატრო ფორმებისა და პრო-



ფესიული რეჟისურის პრინციპების დამკვიდრება დაკავშირებულია ორი დიდი რეჟისორის – კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო აბთეგელის სახელებთან. მათ ქართულ თეატრში განსაკუთრებული ეპოქა შექმნეს, რომელიც სასცენო ხელოვნების განვითარების მიმართულებასა და ტენდენციებს დღესაც განაპირობებს.

გასული საუკუნის დასაწყისში საქართველოს სხვადასხვა ქალაქში, მათ შორის ყვარლშიც დაარსდა პროფესიული თეატრები, რომლებიც დღესაც განაგრძობენ ფუნქციონირებას.

გაგრძელება მე-2 გვ. -ზე

11 ივლისს საქართველოს მსოფლიოში სახელგანთქმული იტალიელი ალპინისტი, უამრავი ნიბნის ავტორი რეინოლდ მესნერი ესტუმრა



მსოფლიოში პირველი მთამსვლელი რეინოლდ მესნერი, რომელმაც 1980 წელს ევერესტი უანგზადის აპარატის გარეშე დაიპყრო და დალაშქრა თითქმის 8000-მეტრიანი მწვერვალი, სვანეთს, თუშეთს, კახეთსა და ყაზბეგს ეწვია. იტალიელ სტუმარს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვიციანიშვილმა უმასპინძლა.



რეინოლდ მესნერმა ურთულესი ასვლების განხორციელება 13 წლის ასაკიდან დაიწყო. ამ პერიოდში იგი, თავის 11 წლის ძმასთან ერთად, ევროპის საუკეთესო მთამსვლელებში შედიოდა. მესნერი პირველია, რომელმაც მარტომ გადაკვეთა ანტარქტიდა, გრენლანდია და გობის უდაბნო. გამოქვეყნებული აქვს 80-ზე მეტი ნიგ-

ნი, რომლებშიც თავის მოგზაურობასა და თავგადასავლებს აღწერს. 1999-2004 წლებში იგი ასევე იყო ევროპარლამენტის წევრი.


გიორგი კვიციანიშვილმა რეინოლდ მესნერს ტურიზმის მიმართულებით არსებულ პოზიტიურ დინამიკაზე მიანიშნა ინფორმაცია და აღნიშნა, რომ გასულ წელს საქართველოს 6 მილიონზე მეტი საერთაშორისო მოგზაური ეწვია. ტურისტების რაოდენობის ზრდის ტენდენცია წელსაც გრძელდება.

„პრემიერ-მინისტრმა ყურადღება გაამახვილა საქართველოს მთის კურორტების შესაძლებლობებზე და აღნიშნა, რომ მათი განვითარების პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია მსოფლიოში ცნობილი ისეთი მთამსვლელის რეკომენდაციები, როგორც რეინოლდ მესნერია. პრემიერი დარწმუნებულია, რომ საქართველოს მთის კურორტებით მესნერის დაინტერესება მსოფლიოში ჩვენი ქვეყნის, როგორც მიმზიდველი ტურისტული მიმართულების ცნობადობის გაზრდას შეუწყობს ხელს“, – მესნერი ასევე სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის საკვლე-სადემონსტრაციო ბაზასაც ესტუმრა.

სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, იური ნოზაძემ და სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორმა, ლევან უჯმაჯურიძემ მესნერს ვაზისა და ხეხილის საკულტურო ნარგავები დაათვალიერებინეს, ქართული ღვინის დაყენების მეთოდები და მევენახეობა-მეღვინეობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები გააცნეს.

რეინოლდ მესნერმა იშვიათი ქართული ვაზისგან დაყენებული ღვინოებიც დააგემოვნა.

„საქართველოში ჩამოსვლამდე გაგონილი მქონდა ქართული ღვინის შე-



სახებ. როგორც კი მომეცა შესაძლებლობა, ჩამოვედი საქართველოში და გაცემული დავერი. ამბობენ, ღვინო სათავეს საზრეთ იტალიიდან იღებს. მე ვაყენებ ღვინოს და მჯერა, რომ ღვინო სათავეს საქართველოდან იღებს და აქედან გავრცელდა მთელს მსოფლიოში.

თქვენს ქვეყანას დიდი პოტენციალი და ღვინის დიდი კულტურა აქვს. მე მჯერა, რომ ქართული ღვინო მსოფლიოს დაიპყრობს. მე მომწონს კლასიკური ღვინო, მაგრამ ნიუთონი ღვინო არის ჩემი საყვარელი სასმელი“, – აღნიშნა რეინოლდ მესნერმა.

მესნერს გამოქვეყნებული აქვს 80-ზე მეტი ნიგნი, რომელშიც თავის მოგზაურობასა და თავგადასავლებს აღწერს.

ვზიარობ, რომ სხვა ქვეყანაში მიღებული ცოდნის რეალიზება შენს ქვეყანაში უნდა მოახდინო

ის ერთ ჩვეულებრივ, საშუალო ოჯახში დაიბადა და გაიზარდა. მშობლები თამაზ და დალი მახარობლიშვილები არაფერს არ იშურებდნენ შვილების რობოტულად აღზრდისათვის. მათ სიყვარულით შეირთეს ერთმანეთი. თამაზი თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ღვინის ტექნოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა. ქალბატონმა დალიმ კი პედაგოგობა ირჩია. თამაზი ჯერ კიდევ დამწყებ მელინტექნოლოგად კარგა ხანს მუშაობდა ყვარლის ღვინის ქარხანაში. როგორც კარგ სპეციალისტს და პატიოსან ადამიანს ყველა იცნობდა. შემდგომში, ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში დატოვა ეს საუფლო და ბავშვები შეუღლის ანაბარად დატოვა. ქალბატონმა დალიმ შეუღლებული შეძლო და ყველას უმაღლესი განათლება მიაღწია, თვითონვე შეაჩვია შრომასაც და დღეს საამაყო აქვთ ამ ოჯახს, რომ მათი ერთადერთი ვაჟიშვილი გიორგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორია და სტუდენტებისთვის ერთ-ერთი საყვარელი ლექტორია. ყვარელს ეამაყება ასეთი ნიჭიერი ახალგაზრდები. ჩვენი რესპოდენტი გიორგი მახარობლიშვილი გაზეთ „ყვარლის“ სტუმარია და რამდენიმე კითხვით გავესაუბრეთ მას.

კვალიფიციური აკადემიური პერსონალი სწავლის, მეცნიერებისა და პროფესიული კვალიფიკაციის შექმნის საუკეთესო ქართული წყაროა. დავამთავრე რა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო საფეხური, ლოგიკურად, სწავლა განვაგრძე ამავე უნივერსიტეტის მაგისტრატურის საფეხურზე, რომელიც დავასრულე 2010 წელს. აი, ამის შემდგომ დღის წესრიგში დადგა სწავლის მესამე და ბოლო საფეხურზე გადასვლის საჭიროება და აუცილებლობაც. შესაბამისად, 2011 წელს პროფესორ ირაკლი ბურდულიის სამეცნიერო ხელმძღვანელობით ჩავაბარე დოქტურანტიურაში. იმის გამო, რომ ქართული იურიდიული ლიტერატურა მაინცდამაინც სიმრავლით არ გამოირჩევა, გადავწყვიტე დისერტაციაზე მუშაობის გარკვეული პერიოდი უცხო სახანალებლოში გამტარებინა. შესაბამისად 2012 წელს რამდენიმე თვე წავედი პოლსტონის სამხრეთ ტექსასის სამართლის სკოლაში (სამხრეთ ტექსასი, აშშ), სადაც მიდიდარმა საკორპორაციო სამართლებრივმა ლიტერატურამ შესაძლებლობა მომცა შექმენა ერთ-ერთი მოკრძალებული სამეცნიერო ნაშრომი დისერტაციის სახით. სწავლის პარალელურად, 2009 წლის გაზაფხულზე მუშაობა დავიწყე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტზე როგორც მაგისტრანტი. შეიძლება ითქვას, რომ იურიდიულ ფაკულტეტზე მუშაობა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო საფეხურზე სწავლა ერთ-ერთი რთული პერიოდი იყო გადასალახავად: საშუალო გარემოსთან ადაპტაცია, რომელიც მთლიან დღეს მოითხოვდა და ამის შემდგომ იგივე ნარმატივული დონით სწავლის პროცესის შენარჩუნება, პრაქტიკულადაც და თეორიულადაც საკმაოდ რთული იყო. თუმცა, შეიძლება ითქვას, საკმაოდ წარმატებით ვაგრძელებდი, რადგან მაგისტრატურის მეორე წელს უკვე მქონდა სადისერტაციო თემის მონახაზი გაკეთებული, რაც მნიშვნელოვნად წინგადადგმული ნაბიჯი იყო. რაც შეეხება პროფესიულ მიმართულებას, იურიდიული ფაკულტეტის კერძო სამართლის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორი ვარ, ხოლო კვლევის უშუალო მიმართულება საკორპორაციო სამართალია.

ბა ყველა ქმედებისთვის სჭირდება. მისი (განწყობის) შექმნა კი ქმედების საფუძველია. მიხარია, თუ ამ ქმედებებმა გარკვეული შედეგი უკვე გამოიღო და შექმნა მომავალი მოქმედებების თუნდაც გაციოლოდნი გარანტია.

იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობა კონკურსის შედეგად 2012 წელს დავიკავე, მანამდე ვიყავი მონვეული ლექტორი. იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი ექვთარეშე საპატიო, თუმცა უზომოდ საპასუხისმგებელი არა მხოლოდ სტუდენტებთან მიმართებით, არამედ შენს პროფესორ-მასწავლებლებთან მიმართებითაც.

– რამდენი წელი მოგინია ამერიკაში ყოფნამ და რას გვეტყვი ამერიკულ ცხოვრებაზე. ბევრი ახალგაზრდა ოცნებობს ამერიკაში და იქ მიღებულ ცოდნაზე, იქ მოხვედრილ ზოგს თავის სამშობლოსკენ გამოხედვაც არ უნდა. შენ ალბათ უნდა სამშობლოს სიყვარულმა გიხმია და ამიტომ არჩიე შენს ქვეყანაში დაბრუნება და აქ მოღვაწეობა; ასეა? შენი კომენტარი.

– დისერტაციაზე მუშაობისთვის აშშ-ში სამეცნიერო მივლინებით ვიყავი. მიუხედავად იმისა, რომ თანამდროვე მსოფლიო უამრავ შესაძლებლობას იძლევა გარკვეული უცხო გამოცდილებით წარმატების მიღწევისათვის, ვფიქრობ, რომ მისი რეალიზება შენს ქვეყანაში უნდა მოახდინო. სიმართლე გითხრა, არც მივიქრის სხვაგან დარჩენაზე, თორემ სურვილის ძალა კარგად მოგეხსენება...

– შენ რომ ასეთ წარმატებებს მიაღწიე, ვფიქრობ რომლის ნილია დედაშენის, ამ ოთარაანთ ქრისტიანული გავლენის აღმანიანი.

– რა თქმა უნდა. ყველაფრის მამოძრავებელი დედაა. სხვის შემთხვევაში არ ვიცი, ყველა მოცემულობა ერთმანეთს განსხვავებულია, მაგრამ ჩემს ცხოვრებაში ეს სწორედ ასეა. მიზნის ჩამოყალიბება, ცხოვრების ნამდვილი სახის დანახვა, სიმტკიცის, მორალისა თუ ზნეობის შექმნა, ჩემი აზრით, ჯერ ოჯახში იწყება და მერე იხსება ის მრავალი სხვა გარემოებით.

– შენი აღმზრდელ-მასწავლებლებისგან რომლის გაცვეთილები დაგამახსოვრდა, რომელი მასწავლებლის მიერ ჩატარებული გაკვეთილები უფრო გიყვარდა და საერთოდ რას გაიხსენებდი სკოლის პერიოდიდან. ვის უმაღლი შენი სწავლანათლებლის წარმატებას?

– მე დავამთავრე ილია ჭავჭავაძის სახელობის ყვარლის პირველი საშუალო სკოლა, რომელიც უბრალოდ მაგარი მასწავლებლების გამოირჩეოდა ყოველთვის. ყველა მასწავლებლის გაკვეთილი მახსოვს (ზოგადად, რა თქმა უნდა). აბსოლუტურად ყველას ჰქონდა თავისი განსაკუთრებული სწავლის მეთოდი, აღზრდისა და ცოდნის გადმოცემის უნარი. არ შემიძლია რომელიმე გამოვყო, რადგან გამოირჩევა ვინმე და ეს უთუოდ არ იქნება მისთვის სასიამოვნო. თუმცა, არ შემიძლია არ აღვნიშნო ჩემი დამრიგებლები: ქალბატონი გულიკო ზაკალაშვილი და ქალბატონი მანანა ხვედელიძე. ქალბატონი მანანა მესუთე კლა-



სიდან სკოლის დამთავრებამდე გვყავდა დამრიგებლად და მისი დედებით გავლენა უკეთ მახსოვს, ლოგიკურია. განსაკუთრებით ახლა, საქართველოში არ არის და მოვიკითხავ აქედან: ისტორიის უძლიერეს სპეციალისტს თავისი სამშობლო როგორ ენატრება, წარმოიშობა. აქვე მოვიკითხავ ქალბატონ ნინო იშხანიძეს, რომელმაც ქართული ენა და ლიტერატურა შეგავყვარა და რომლის ძალისხმევა პროფესიული საქმიანობის თითოეულ ნაბიჯზე აქვს და უდავოდ მნიშვნელოვანია. ასევე მოვიკითხავ ჩემს სხვა მასწავლებლებსაც დიდი სიყვარულითა და პატივისცემით.

– პოეზია თუ გიყვარს. რომელი მწერალი ან პოეტი შენთვის მისაღებია?

– პოეზია მიყვარს, თუმცა არ გამოირჩევი მათი ზეპირსიტყვიერებით. უამრავი ქართველი კარგი პოეტი გვყავს, თუმცა ქალბატონ მანინც სხვა განზომილებაში მოვიარებ. როგორც მწერალი ილია ჭავჭავაძე ყვარულ კაცს რომ გქონდეს ვაზრებული, ხომ გამოირჩევილია. მისი შემოქმედება, ვაჟა-ფშაველასთან ერთად, უდიდეს გენიას ნიშნავს და პატივსაცემია, დასაფასებელია ჩვენგან, თუმცა, არ შემიძლია არ აღვნიშნო ჭაბუა ამირეჯობის „დიათა თოთაშხია“. ეს არის ის, რაც ზემოხსენებულ მწერლებთან ერთად განუწყვეტელი უნდა იკითხო, იკითხო და იკითხო...

– შემდგომისთვის რა აქვს ჩაფიქრებელი გიორგის, რა სურვილების ასრულება სურს?

– მომავალი განუწყვეტელია. თუმცა განვითარების გეგმა, ალბათ, ყველას აქვს. რა თქმა უნდა, პროფესიული განვითარება და გაზრდა ნომერ პირველ ამოცანად რჩება. სხვა გეგმების შესახებ, ვფიქრობ, მოგვიანებით ვჯობს საუბარო.

გამაღლებოთ.

ესაუბრა დალი ტატულიშვილი

მეცნიერები და ექიმები გვაფრთხილებენ,



ზაფხულის ხილი: ვიცოდეთ რითია სასარგებლო ატამი

ატამი ვარდისებრთა ოჯახის მცენარეა, რომლის სამშობლოც ჩინეთი მიჩნევა. მის გვარში 6 სახეობაა. ატამის 5 ათასამდე კულტურული ჯიშო არსებობს. საქართველოს რაიონებში ატამის კულტურის გასავრცელებლად საუკეთესო პირობებია. ატამის ახალგაზრდა ნარგავიდან მოსავლის მიღება დარგვიდან სამ წელიწადშია შესაძლებელი. კარგ პირობებში ატამი უხვად იხზამს და ნარგავის მოვლის შემთხვევაში ნაყოფს ყოველწლიურად იძლევა.

მისი შემადგენლობის 7-12% შაქარია, 0,08%-1,02% – მჟავები, 0,5-1,2% – პექტინოვანი ნივთიერება. ატამის ზეთს (ოლეუმ პერსიკორუმ), რომელიც მისი თესლისგან მიიღება, მედიცინაში ნუშის ზეთის იაფ შემცვლელად იყენებენ. თესლი 55%-მდე უმრობ ცხიმს, ცილებს, ფერმენტ ემულსინს, გლიკოზიდ მიგდალინს, თერეზეტებს, სტეროიდებს, სიტოსტერინს, ესტრონს, ესტრადიოლს და სხვა ნივთიერებებს შეიცავს. თუმცა, მისი ჭამა აკრძალულია.

ატამი მდიდარია კაროტინით, რომელიც აუმჯობესებს მხედველობას. მისი უჯრედები არეგულირებს ნაწლავების მოქმედებას, A, C და B ჯგუფის ვიტამინები კი აძლევს იმუნიტეტს.

ამიტომ, თუ ადვილად ცივდებით, მიირთვით ატამი. კალციუმი მავნიუმიდან და ვიტამინთან ერთად ამაგრებს ძვლებს, ხოლო ხილის მჟავები ათეთრებს და ახალგაზრდაებს კანს. ატამის კომპოტი რეკომენდებულია ღვიძლის, თირკმლებისა და გულ-სისხლძარღვთა პათოლოგიების დროს. შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთათვის და მსოქმებისთვის ატამის კომპოტი უმჯობეს ამზადებენ. გარდა ნაყოფისა, სამკურნალოდ გამოიყენება ატამის ფოთლები, ყვავილები და კურკა.

როგორ გავაქროთ თევზისა და ხახვის სუნი

1. ქილაში ფენა-ფენად ჩააწყვეთ ვარდის, შროშანის ან სხვა სურნელოვანი ყვავილის ფურცლები, ზემოდან მოაყარეთ წმინდად დაფქული მარილი, კვლავ ჩააწყვეთ ფურცლების ფენა და ისევ მოაყარეთ მარილი. ასე გაავრცელოთ, ვიდრე ქილა არ გაივსება. შემდეგ ზემოდან დაასხით 3-4 კოვზი სპირტი ან არაყი. დაახურეთ ხუფი ჰერმეტიკული და შეინახეთ. როცა მოგესურვებათ, სასაბოვნო სუნი დადგეს ოთახში, ქილას რამდენიმე წუთით მოხადეთ სახურავი.
2. სანამ ფანჯრის ჩარჩოებს საღებავს წაუსვამდეთ, მიწებს ძმარი ასხურეთ და საღებავი აღარ მიეკარება.
3. თუ აბაზანის ან პირსაბანის ნიჟარის ზედაპირი გაყვითლდა, მარილმჟავას ფხვნილი გააზავეთ სკობიდარში, მიღებული ხსნარი რამდენჯერმე კარგად წაუსვით გაყვითლებულ ზედაპირს და შემდეგ გახეხეთ სარეცხის ფხვნილით.
4. თერმოსში 2 კოვზი ბრინჯი ჩაყარეთ, თბილი წყალი დაასხით, თავი დაახურეთ და რამდენჯერმე კარგად შეანჯღრეთ. ამის შემდეგ თერმოსს წყალი გამოავლეთ. ჭურჭელი კრიალს დაინყებთ და უსიაბოვნო სუნიც გაქრება.
5. კაკლის გული ნაჭუჭიდან ადვილად გამოვა, თუ კაკალს ერთი ღამით დაშაქრულ წყალში გაჩერებთ.
6. კარადის კარები, უჯრები რომ ადვილად გაიღოს, კიდევბზე გასაპნული ჩვარი გადაუსვით.
7. უსახვევო კანფეტები ერთმანეთს არ შეეხებება, თუ შაქრის ფხვნილს (პუდრის) მოაყრით.
8. დამსკდარი პომიდორი რომ არ დალპეს, ნაპრალში მარილი ჩააყარეთ.
9. ბოსტნეული განმინდეთ უფხავაი

სასარგებლო ინფორმაცია ლეღვზე

ლეღვი უძველესი კულტურაა. მისი სამშობლოა მცირე აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთი რეგიონები. დღეს ის მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია კულტივირებული. განსაკუთრებით გავრცელებულია თურქეთში, ალჟირსა და კალიფორნიაში. მისი მრავალი სახეობით მდიდარია საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, უზბეკეთი, ტაჯიკეთი. ასევე ფართოდ არის გავრცელებული თურქმენეთში, დაღესტანსა და ყაზახეთში, ყირიზსა და კრასნოდარის მხარეში.

მცენარე ჯიშების დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა (400-მდე სახეობა). ნაყოფი განსხვავებულია ზომით (პატარა, საშუალო და დიდი), ფორმით (მრგვალი, ოვალური, მსხლისებრი, წაგრძელებული), ფერით (მოყვითალო, წითელი, თეთრი, შავი, ვარდისფერი და იისფერი). ნინათ მაჩნდათ, რომ საკვებად ვარგისი იყო მხოლოდ ღია ფერის ნაყოფი, იისფერს კი სამკურნალო თვისებები ჰქონდა. სინამდვილეში ასე არ არის. ლეღვის ნებისმიერი ფერის ნაყოფი, იქნება ის ბალისა თუ ტყისა (ანუ ველური), მთისა თუ ბარისა, ჯანმრთელი ადამიანისთვის საუკეთესო საკვებაა, ავადმყოფისთვის კი სამკურნალო საშუალება, რადგან შეიცავს სასარგებლო ნივთიერებათა კომპლექსს.

გრძელ რეგიონებში ლეღვი შედარებით გვიან მნივდება, ცივ ადგილებში საერთოდ ვერ ასწრებს დამწიფებას და ზამთრის მოახლოებისას ხეზე მისი უმნიშვნელო ნაყოფი რჩება. ამ უკანასკნელის საკვებად გამოყენება არ შეიძლება, უფრო მეტიც – სახიფათოა. ლეღვი შეიცავს დიდი ოდენობით და C ვიტამინებს, აგრეთვე – პროვიტამინ A-ს, მინერალურ ნივთიერებებს: რკინას, კალციუმს, კალციუმს, მანგანუმს, ფოსფორს, ბრომს, გოგირდს, ცოტაოდენ დარიშხანს, აგრეთვე – პექტინებს, უჯრედის, ციმბებს, ცილებს, ყველაზე დიდი ოდენობით კი შაქრებს.

თუ ადკრეფილ ნაყოფს ჭურჭელში



მოვათავსებთ და რამდენიმე ხანს მზის ქვეშ დავდგამთ, მასში შაქრის რაოდენობა მოიმატებს, შესაძლოა 30-40%-საც კი მიაღწიოს. ლეღვის ნაყოფი იოლი მოსანელებელია. თუ მას ძირითად საკვებად ერთად მივირთმევთ, ის საქმლის მომწოდებელი ტრაქტის სტიმულაციას მოახდენს, მადანს გაგვიძლიერებს, ხელსაყრელ პირობებს შექმნის საკვების მოსანელებლად და აუთვისებელი ნარჩენების გამოსაყოფად.

ნაყოფს აქვს ოფლმდენი მოქმედება. ის ოფლთან ერთად ორგანიზმიდან ჭარბ ცხიმს, ტოქსინებსა და მარილებსაც გამოდევნის. შესაბამისად, სასარგებლოა ართრიტით დაავადებულთათვის. ლეღვის ახალმოკრეფილი ნაყოფი კლავს წყურვილს და გამაგრილებელი ეფექტით გამოირჩევა, ხელს უწყობს ტემპერატურის დაქვეითებას მალალი სიცხის დროს, გადვიდებული ელენითს დაპატარავებას.

ლეღვი კარგი საშუალებაა კუჭის განსაწმენდ-განსუსთვისაველად


მის ნაყოფში არსებული თესლი კუჭ-ნაწლავის ტრაქტში მოხვედრისას ეროვარი ცოცხის როლს ასრულებს – ინტენსიურად გამოდევნის დაგროვილ ნიდას და ნივთიერებათა ცვლის ორგანიზმისთვის უფარვის პროდუქტებს.

ლეღვი სასარგებლოა გულ-სისხლძარღვთა დაავადებების სამკურნალოდ. შეიცავს ფერმენტ ფიცინს, რომელიც კეთილსმყოფელ გავლენას ახდენს სისხლძარღვოვანი თრომბოზების მკურნალობაზე. ლეღვი სასარგებლოა ზედა სასუნთქო გზების ანთებითი დაავადებებისა და სისხლწაკლებობის დროსაც, ხელს უწყობს ძვლოვანი ქსოვილის გამაგრებას, კარგი ეფექტი აქვს ბუასილის, სხვადასხვა გენეზის მეურულია და კოლიკის (მუცლის ღრუს ორგანოებში მოვლენი ტიკვილის) დროს.

ახალგაზრდა კარტოფილ ლეღვის პრაქტიკულად არ გააჩნია გვირგვინი მოვლენა

მისმა საკვებად გამოყენებამ შესაძლოა ერთეულ (იმეიათ) შემთხვევებში მიაყენოს ადამიანს ზიანი. ეს ხილი უკუნაჩვენებია მხოლოდ შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთათვის, აგრეთვე იმ პირებისათვის, ვისაც კუჭ-ნაწლავის მწვავე პათოლოგიები ან ზოგადად აწუხებს. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მექსიკელი მეცნიერებისა და ექიმების მტკიცებით ლეღვი არ არის უკუნაჩვენებელი მცირე ტიპის შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთათვის, რადგანაც ის ხელს უწყობს სისხლში შაქრის დონის სტაბილიზაციას. ყველა დანარჩენი უკუნაჩვენებელია ლეღვის ჩირის (ანუ გამომშრალი ხილის) საკვებად გამოყენებას, რადგანაც ეს უკანასკნელი ძალიან დიდი რაოდენობით შეიცავს შაქრებს.

როდის არის ახალი კარტოფილი საშიში და როგორ გავხადოთ იგი უსაფრთხო



ალბათ ძნელად თუ მოიძებნება ადამიანი, რომელსაც არ უყვარს გაზაფხულზე, ახლად შემოსული პატარ-პატარა, მთელ-მთელად შეწვარი, კამით შეხვეებული კარტოფილი. ბევრი დედოქი გაზაფხულის დადგომისთანავე ცდილობს სწორედ ასეთი, ახალი კარტოფილი შესთავაზოს თავის პატარას.

მაგრამ სწორია თუ არა ჩვენს ამგვარი გატაცება ახალგაზრდა კარტოფლით და რამდენად უსაფრთხოა იგი ჯანმრთელობისთვის? ხომ არ ჯობია თავი შევიკავოთ აპრილში შემოსული პატარა კარტოფილების შეძენისგან და რატომ? ამ ყველაფერზე ქვემოთ ვისაუბრებთ.

რატომ არის საშიში ახალგაზრდა კარტოფილი?

აპრილის თვეში დახლებზე გამოჩენილი ახალგაზრდა კარტოფილი, როგორც წესი, სასწრაფო წესით მოჰყავთ, რისთვისაც სპეციალურ სასუქსა და ზრდის დამაჩქარებლებს იყენებენ. ეს არც არის გასაკვირი – მოგების გასაზრდელად, კარტოფილი რაც შეიძლება ადრე უნდა დაამწიფონ.

თუ ახალგაზრდა კარტოფილს დახურულ გრუნტში, არასაკმარისი მზის პირობებში ზრდიან, როგორც წესი, დიდი რაოდენობით აძლევენ არა მხოლოდ ორგანულ, არამედ ასევე არაორგანულ სასუქს, რათა პროდუქტი რაც შეიძლება მეტად

გაიზარდოს. ამიტომ, ახალ კარტოფილში ნიტრატები გაცილებით მეტია, ვიდრე ძველში. ნიტრატები აზოტის ნაერთებია, რომლებიც საშიშია იმით, რომ ადამიანის ორგანიზმში გარდაიქმნებიან ონკოდაავადებების გამომწვევ ნივთიერებად.

ნიტრატების დიდმა რაოდენობამ შეიძლება გამოიწვიოს ძალიან ძლიერი მონამგლა ლებინებითა და დიარეით, რაც განსაკუთრებით საშიშია ბავშვებისთვის. ამას გარდა, მზისა და სითბოს უკმარისობის გამო ახალი კარტოფილი არც ისეთი სასარგებლოა, როგორც ითვლება. მასში არასაკმარისი ვიტამინებია. ამიტომ, არ ღრის ბავშვებისთვის მაინცდამაინც ამგვარი კარტოფილის არჩევა.

ახალგაზრდა კარტოფილს ექიმები არც ორსულებსა და მკეუტურებს ურჩევენ.

მაგრამ თუ მაინც ვერ ითმენთ და ძალიან გსურთ ახალი კარტოფილის მირთმევა, არსებობს რამდენიმე ხერხი, რომლებიც დაგეხმარებათ უსაფრთხო გახადოთ ახალგაზრდა კარტოფილი.

როგორ გამოვლევინოთ ნიტრატები ახალი კარტოფილიდან

- პირველ რიგში, რა თქმა უნდა ძალიან კარგად უნდა გარეცხოთ კარტოფილი.
- უმჯობესია, თუ ახალგაზრდა კარტოფილს მუდმივად არ მოხარშავთ, რად-

გან ნიტრატების უმეტესობა სწორედ კანში გროვდება.

- შეინახეთ ახალი კარტოფილი სიცივეში, რადგან დაბალი ტემპერატურის პირობებში ნიტრატები არ „გარდაიქმნება“ უფრო საშიშ მომწამვლელ ნივთიერებად.

- თუ ახალგაზრდა კარტოფილს მომზადებამდე 30-40 წუთით წყალში გააჩერებთ, მასში ნიტრატების რაოდენობა 20-25%-ით შემცირდება. თუმცა იმის საშიშროებაც არის, რომ წყალში დიდხანს გაჩერების შემთხვევაში კარტოფილი ძალიან გამაგრდეს და აღარ მოიხარშოს.

- კარტოფილის ხარშვისას, ყველაზე მეტი რაოდენობით ნიტრატები გამოიყოფა წყალში 30-40 წუთის მანძილზე. ამასთან, თავად კარტოფილი ნიტრატებისგან იწმინდება 80%-ით. მაგრამ რაც უფრო დიდხანს ხარშავთ მას, ნიტრატებთან ერთად მით მეტად იკარგება სასარგებლო ნივთიერებები – ვიტამინები და მინერალური მარილები.

- ახალი კარტოფილისგან მომზადებული კერძი უნდა მიირთვათ მომზადებისთანავე, რადგან, ახალგაზრდა კარტოფილის დიდი ხნით ოთახის ტემპერატურაზე გაჩერება ხელს უწყობს მიკროფილის გამრავლებას, რის შედეგადაც ნიტრატები გარდაიქმნება ნიტრატებად. აღნიშნულ პროცესს კიდევ უფრო ააქტიურებს ტემპერატურის მრავალჯერადი ცვალებადობა – მაცივრიდან გამოღება-შედება.

სამაგიეროდ, ეკოლოგიურად სუფთა ახალგაზრდა კარტოფილი ძალიან სასარგებლოა როგორც მოზრდილებისთვის, ასევე ბავშვებისთვის! იგი მდიდარია ბიოფლავონოიდებითა და C ვიტამინით. ახალგაზრდა კარტოფილი ცოტაა მარტივი შაქარი, პრაქტიკულად საერთოდ არ არის ცხიმი და ქოლესტერინი, სამაგიეროდ, არის საქმლის მონელებისთვის სასარგებლო ორგანული მჟავები და ბოქვოვანა.

ასე რომ, ცოტა მოგვიანებით, როცა ეკოლოგიურად სუფთა ახალგაზრდა კარტოფილი შემოვა, შეგიძლიათ გახედულად მიირთვათ და თქვენს პატარებსაც გაუმასპინძლდეთ ამ პროდუქტით.



გვირჩევენ, გვთავაზობენ!

აი, რა მოხდება, თუკი ყურში ხახვის ნაჭერს მოითავსებთ

ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემებთან ბრძოლა ბევრს ბუნებრივი საშუალებებით ურჩევნია და ეს არ არის უსაფუძვლო.

ხახვი – ერთ-ერთი ბუნებრივი მკურნალია, რომელსაც უამრავი ქრონიკული დაავადების განკურნება შეუძლია.

1. ხველა – არა!

ხახვის წვენი – საოცარი სიროფია ხველის წინააღმდეგ, მაგრამ სავარაუდოდ, მისი გემო და სუნის არ მოგეწონებათ. თუმცა, თუკი ხახვის პატარა ნაჭერს ყურში მოითავსებთ, მაშინ მისი წვენი სისხლში მიიწვება და ხველისგან გათავისუფლებთ.

2. ახალი ტამბაკის დაწვასთან დაკავშირებული

განსაკუთრებით კარგად ეს მეთოდი ბავშვებში მოქმედებს. თუკი ბავშვს სიცხემ აუწია, რგოლებად დაჭრილი ხახვის ნაჭერი, რომელიც ვაშლის ძმარის

იქნება დასველებული, დაადეთ ფეხის-გულზე და ჩააცვით ზემოდან წინდები. სიცხე მომენტალურად დაუწევს!

3. ბაცივით?

ას ღიფხანს არ გაბრძოლებათ!

თუკი ისე გაცივებთ, რომ ვერაფრით თბებით, უბრალოდ, მიირთვით ხახვი უმად. სულ ცოტა ხანში ორგანიზმი სითბო დაგივლით.

4. ყურისა და თავის ტკივილი

თუკი ოდესმე ყურის ტკივილი გამოგიცდიათ, გეცოდინებათ, ეს როგორი ჯოჯოხეთია. ამიტომაც ყოველი შემთხვევისთვის ჩაინიშნეთ ეს მეთოდი: მოითავსეთ ორივე ყურში ხახვის პატარა ნაჭერი. მას ანთების საწინააღმდეგო ეფექტი აქვს და უცებ დაგამებთ. თუკი შაკიკი განუხებთ, გაიმეორეთ ეს პროცედურა ძილის წინაც. დაიტოვეთ ხახვის ნაჭერები ყურებში დღიამდე და თქვენ დარწმუნდებით, რომ ეს უეზარი საშუალებაა.

5. სისხლდინის შეჩერება

თუ შემთხვევითი კანი გაგეჭრათ და სისხლდინას ვერ იჩერებთ, დაიდეთ ჭრილობაზე მარლა, რომელშიც ხახვის რამდენიმე ნაჭერი იქნება გახვეული. სისხლი უცებ შეჩერდება.

თუკი ამ პროცედურას რამდენჯერმე გაიმეორებთ, მალე ჭრილობისგან კვალს კი არ დაგრჩებათ.

6. ხახვი ნაიარავს აპრობს

ეს შეიძლება უცნაურად მოგეჩვენებოდეს, მაგრამ ქირურგიულ ნაიარავებსაც კი ხახვის მეშვეობით გაიჭრებთ ან ნაკლებშესაძლებლად გახდით. უბრალოდ, სისტემატურად ინმინდეთ ნაიარავი ადგილი ხახვით.

7. ხახვი გამოაქვს ინფექციას!

ამისათვის უნდა მოამზადოთ ხახვის პასტა, რომელიც ფაქტობრივად, იწვევს ორგანიზმიდან ინფექციას. აი, რეცეპტი:

● აადუღეთ რძე და დაასხით ის თეთრი პურის მოზრდილ ნაჭერს.

● გახვებით ხახვი და დაუმატეთ პურისა და რძის მასას.

● შემდეგ ყველაფერი კარგად დააბლენდერეთ.

● დაიმუშავეთ დაინფიცირებული ადგილი სპირტით ან პერეკისით, შემდეგ კი დაიდეთ ზემოდან მარლაში მოთავსებული პასტის კომპრესი.

● შეიხვეთ ზემოდან ბინტი, რათა დააფიქსიროთ კომპრესი.

● გაიჩერეთ კომპრესი 2-2,5 საათი. ეს დრო საკმარისი იქნება.

გაიმეორეთ პროცედურა დღეში ერთხელ, სანამ ინფექციას სრულიად არ დაამარცხებთ.

8. დაგვერდობს თანაგრობა

შვის დამწვრობა – არასასიამოვნო რამ არის, მაგრამ თუკი დამწვარ ადგილებზე ხახვის ნაჭერს დაიდებთ და



გაიჩერებთ 2 წუთი, დამწვრობა მალევე ალაგდება. და თუკი ამის შემდეგ დამწვარ ადგილს კვერცხის ცილასაც წაისვამთ – ტკივილიც გაგიჩერდება და იარაც აღარ დაგრჩებათ.

9. ფუტარის ნაკვანი

თუ შემთხვევით რომელიმე მწერმა გიკბინათ, რამდენადაც შეძლებთ, იმდენად სწრაფად დაიდეთ ნაკბენ ადგილას დაჭრილი ხახვის ნაჭერი. ის ჩაგიცხრობთ შემუშუბას, გამოიტანს შხამს და უცებ შეგიხორცებთ ნაკბენ ადგილს.

რა საფრთხეს უქმნის ორგანიზმს ალკოჰოლის მერა ყავის დალევა

ალკოჰოლის მოხმარება მრავალი დაავადების პროვოცირებას უწყობს ხელს. ეთანოლის გარდა, ალკოჰოლური სასმელების შემადგენლობაში შეიძლება სხვა მავნე ნივთიერებებიც იყოს. განსაკუთრებით საყურადღებოა, ზოგიერთი სახეობის საყურადღებო სასმელში, შაქრის მაღალი შემცველობა, რაც ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტის განვითარებას იწვევს.

სხვადასხვა სახეობის ღვინოში შაქრის შემცველობა განსხვავებულია. ტკბილ ღვინოში ის მეტია, ვიდრე მშრალში. 1 ბოკალ მშრალ ღვინოში დაახლოებით 1 გრ შაქარია, 1 ჭიქა გლინტვინოში – 100 გრ-მდე შაქარი. ამარეტოს ერთი პორცია 35 გრ შაქარს შეიცავს. შედარებით ნაკლებია შაქარი მაგარ სასმელებში.

ლუდის ჭარბად მოხმარება ხელს უწყობს ვენების ვარიკოზულ გაგანვირებას, ზრდის გულის იშემიური დაავადების განვითარების რისკს. ზოგიერთი მწარმოებელი ქიმიურ დანამატებს, მაგალითად კობალტის შენაერთებს იყენებს, რაც ქაფის წარმოქმნას ზრდის. კობალტი გულის უნაწილად კალციუმს, თუმცა იგივე ფუნქციას ვერ ასრულებს, რაც გულის უკმარისობას იწვევს.

კოფეინის შემცველ სასმელებთან ერთად (ყავა, ჩაი, ენერჯეტიკული სასმელები) ალკოჰოლის მიღება ზრდის მათ

ალმგზუნე მოქმედებას და ორგანიზმზე დატვირთვას, რაც გულისცემის გაზომვას, არტერიული წნევის მატებასა და ნევროზის განვითარებას იწვევს. კოფეინი ზრდის მიოკარდიუმის ფუნჯების მოხმარებას, ამიტომ ალკოჰოლის შემდეგ ყავის მიღება მნიშვნელოვნად თრგუნავს გულ-სისხლძარღვთა სისტემას და ზრდის საშიშო არითმიის განვითარების ალბათობას.

ძალიან მავნებელია ალკოჰოლთან ერთად ტკბილი განიანი სასმელის მიღება. მათ შემადგენლობაში მრავალი ქიმიური დანამატია. არომატიზატორების სახით იყენებენ ნატრიუმის ბენზოატს (E211), რომელიც კანცეროგენულია და ასკობინის მჟავასთან ერთად გარდაიქმნება ტოქსიურ ბენზოლად. ნახშირმჟავას გაზი ალიზიანებს კუჭის ლორწოვანს და შეიძლება კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებების გამწვავების პროვოცირება გამოიწვიოს. ის ასევე ანადგურებს ნაწლავის მიკროფლორას. კონსერვანტები ხელს უწყობს შარდგამომოყოფ გზებში კენჭების წარმოქმნას. კონსერვანტი E300 – ლიმონმჟავა – მოქმედებს კარბონის განვითარებაზე. მეორე კონსერვანტი ოროფოსფორის მჟავა (E338) – ორგანიზმს კალციუმით აღარბებს, რაც ოსტეოპოროზს იწვევს.



მწარე წინაპარ სიცოცხლის გამახანგრძლივებელი უნიკალური პროდუქტია

როგორც „Softcraze“ აღნიშნავს, წინაპარ ჩილის მიღებით შესაძლებელია სიცოცხლის გახანგრძლივება. წინაპარ ნებისმიერი სახითაა ეფექტური. ამას ამტკიცებენ ჩინელი მეცნიერები, რომელთაც ამ სფეროში ყველაზე მასშტაბური კვლევა ჩაატარეს. მასში მონაწილეობა მიიღო 30-79 წლამდე 500000-მა ადამიანმა. ცდის პირები, რომლებიც აქტიურად ღებულობდნენ წინაპარს, იშვიათადაც აღმოჩნდნენ გულ-სისხლძარღვთა სისტემის, ონკოლოგიური დაავადებებითა და გრიპით.

წინაპარს საიდუმლო კომპონენტ კაპსაიციინია. მას ახასიათებს ანთების საწინააღმდეგო ეფექტი, ასევე ამცირებს ტკივილს. ამასთან, ამ ნაერთს გააჩნია გამაღიზიანებელი თვისება, რაც წინაპარს საშუალებას აძლევს მასობრივად გაანადგუროს ავთვისებიანი უჯრედები.

კაპსაიციინი ხელს უწყობს ცხიმოვანი ჩანართების დანვას, ანესრიგებს კუჭის მწკრივობას და აუზღოვებს საჭმლის მონელების პროცესს. უფრო ადრე ჩატარებული კვლევებით დადასტურდა, რომ კაპსაიციინს შეუძლია ღვიძლის განმედა და გააჩნია ნაღველმდენი თვისებები.

წითელ წინაპარს ანტიბაქტერიული, სიმსივნისა და სიმსუქნის საწინააღმდეგო ეფექტი აქვს

ჩინელი მეცნიერების განმარტებით, წითელი წინაპარს რეგულარულად გამოყენება (არა ჭარბი რაოდენობით, არამედ საწინააღმდეგო სახით) მნიშვნელოვნად ახანგრძლივებს სიცოცხლეს. ამ განცხადების საფუძველს მათ მრავალწლიანი ფართომასშტაბური კვლევის შედეგები აძლევს. 2 მილიონ მოხალისეზე 13-წლიანი დაკვირვების შედეგად გაირკვა, რომ წინაპარს მოყვარულნი გაცილებით დიდხანს ცოცხლობენ, ვიდრე ისინი, ვინც ამ პროდუქტს საკვებად საერთოდ არ იყენებს.

კვლევის მონაწილეები რამდენიმე ჯგუფად იყვნენ დაყოფილი – პირველ ჯგუფში ერთიანდობდნენ უმი (ე.წ. ცოცხალი) წინაპარს მოყვარულნი, მეორეში – გამომშრალი (გამომშრალი) მცენარის მოხმარებელი, მესამეში – ისინი, ვინც წითელ წინაპარს მხოლოდ საწინააღმდეგო სახით მოიხმარებდნენ, ვინც წინაპარს კვირაში მხოლოდ ერთხელ მიირთმევდა. ყველაზე დიდი სიცოცხლის ხანგრძლივობით გამოირჩეოდა ის ჯგუფი, რომელთა წევრებიც უმ წინაპარს ანიჭებდნენ უპირატესობას.

ამ და სხვა მონაცემებზე დაყრდნობით ჩინელი სპეციალისტები გვიჩვენებენ 20 წლის ასაკიდან რეგულარულად მივირთვით წითელი წინაპარს. არ არის საჭირო დიდი რაოდენობით მისი ჭამა, საკმარისია სულ ერთი მნიკვი, საწინააღმდეგო სახით, ოღონდ ყოველდღიურად.

შეგახსენებთ, უნიკალური შედეგების წყალობით ბევრ საოცარ თვისებასთან ერთად წინაპარს ანტიბაქტერიული, სიმსივნისა და სიმსუქნის საწინააღმდეგო ეფექტებიც აქვს.



როდისაა ყავის დასალევად საუკეთესო დრო

ყავა დღის ყველაზე პოპულარული სასმელია. ზოგიერთისთვის ყავის გარეშე დღის დაწყება წარმოუდგენელია. ბევრს ფინჯანი ყავა ცივ შხაპზე ნაკლებად როდი აფხიზლებს. თუმცა, ავსტრალიელი დიეტოლოგების აზრით, დღის ყავის შესაძლებლობები მნიშვნელოვნად გადაჭარბებულია.

არსებობს ამ სასმელის მიღების უფრო შესაფერისი დრო. დილით ყავის მოხმარება ხდება ორგანიზმში სტრესის პორმოზის – კორტიზოლის მომატებული კონცენტრაციის ფონზე. ეს უკანასკნელი კი ყავის ეფექტურობას აქვეითებს. ყავის მიღება უმჯობესია 10:00-დან 12:00 საათამდე, როდესაც პორმოზის კონცენტრაცია ქვეითდება.

სასმელის ბოლო მიღება უნდა მოხდეს 14:00 საათზე. დღის მეორე ნახევარში ყავა ჩაით უნდა ჩავანაცვლოთ.

ყავაზე დამოკიდებულება სხვადასხვანაირია. კომფორტული დასვენების უზრუნველსაყოფად, კოფეინის მიღება არაა რეკომენდებული დაძინებამდე 6 საათით ადრე. დღეში 400მგ კოფეინზე მეტის მიღებისგან თავი უნდა შევიკავოთ. ეს 2 ჭიქა ყავის ექვივალენტია.

კარდიოლოგები ამტკიცებენ, რომ წყალს არასწორ დროს ვსვამთ. აი, როგორ უნდა მივიღოთ სწორად სითხე!

„მიიღე, რაც შეიძლება მეტი წყალი!“ – მოგიწოდებენ ლამის ყოველ სტატიაშია თუ გადაცემაში, რომელიც ჯანმრთელობას ეხება. მაგრამ ექიმები სხვაგვარად მიიჩნევენ: წყლის გადაჭარბებული მიღებით იტვირთება თირკმელები და შედეგად, სარგებლობის ნაცვლად პრობლემებს გვიჩენს.

ყოველი ადამიანი ინდივიდუალურია და წყლის ყოველდღიური მიღება ყველას სხვადასხვა დოზით გვეუთვნის. აუცილებელი სითხის რაოდენობის გამოთვლა მარტივია, თუკი გამოიყენებთ უნივერსალურ სქემას. თუკი გულ-სისხლძარღვთა დაავადებები გაწუხებთ ან თირკმელების პრობლემები გაქვთ, აუცილებელია დამატებით, კონსულტაციისთვის ექიმს მიმართოთ.

მაგრამ მთავარი კითხვაა, არა რამდენი სითხე მივიღოთ, არამედ რა დროს! ექიმები გვიჩვენებენ, მივლით რამდენიმე მარტივ წესს:


1. დღიურ 1-2 ჭიქა წყალი გაღვიძებისთანავე. ღამით ორგანიზმი იფიტება, ამიტომაც აუცილებელია შეავსოთ სითხის მარაგი დილიდანვე.
2. ყოველი ჭამის წინ სასურველია დალიოთ 200 მლ წყალი. ეს დაგეხმარებათ, დააჩქაროთ მეტაბოლიზმი.

3. შეეცადეთ დააკომპენსიროთ ერთი ჭიქა წყალი ყოველი ფინჯანი ჩაი ან ყავა.

4. უნდა მიყოლოთ თუ არა წყალი საჭმელს? ექიმების აზრი აქ ორად იყოფა. ერთი თვლიან, რომ ეს საზიანოა ორგანიზმისთვის, რადგან წყალი აზავებს კუჭის წვენს. მეორენი მიიჩნევენ, რომ ეს უკუნაჩვენებია მხოლოდ მათთვის, ვისაც კუჭის დაქვეითებული მჟავიანობა აქვს.

5. მალაინტენსიური ძალოსნური ვარჯიშისას აუცილებელია ყოველ 20 წუთში ერთხელ მიიღოთ 150 მლ წყალი (ჩვეულებრივი პლასტიკატის ჭიქის მოცულობა).

6. ღამით აჯობებს შეზღუდოთ სითხის მიღება, განსაკუთრებით, იმ ადამიანებმა, ვისაც თირკმელების დაავადება აქვს.



პერმაკულტურა – ეკოლოგიური სოფლის მეურნეობის მოწყობის პრინციპები

პერმაკულტურა წარმოადგენს დიზაინის სისტემას, რომლის მიზანია ეკოლოგიურად მიზანშეწონილი მოდელების საფუძველზე, ადამიანის გარემო სივრცის ორგანიზება.

სიტყვა „პერმაკულტურა“ წარმოსდგება ინგლისური ტერმინოლოგიის პერმანენტ აგრიკულტურე-სგან რაც ნიშნავს ხანგრძლივ სოფლის მეურნეობას, ამ სიტყვის შემოკლებულ ვარიანტს წამოადგენს პერმაკულტურა. „პერმანენტული“ ლათინური სიტყვაა და ნიშნავს „მუდმივს“, რაც განუწყვეტელი გრძელდება.

ამ სიტყვის ავტორები არიან ავსტრალიელი ბილ მოლისონი და დევიდ პოლგრენი, რომლებმაც შეიმუშავეს ეკოლოგიურად მიზანშეწონილი სოფლის მეურნეობა, რომელიც დაფუძნებული იყო კულტურების მრავალფეროვნებაზე, ეს კი გულისხმობს ხეების, ბუჩქების, ბალახების ინტენსიურ ჩართვას მეურნეობაში.

პერმაკულტურა, როგორც დიზაინის სისტემა, თანაბრად მოიცავს მემცენარეობას, მეცხოველეობას, მშენებლობას და აგრეთვე ინფრასტრუქტურას–წყალი, ენერჯია, კომუნიკაციები. იგი უფრო მეტად ორიენტირებულია ადამიანის ორგანიზმზე და მისი საჭიროებების დაკმაყოფილებას და მისი გარემოს დაზარალების თავიდან აცილებას.

პერმაკულტურის ამოცანა მდგომარეობს ისეთი სისტემების შექმნაზე, რომლებიც ეკოლოგიური თვალსაზრისით მიზანშეწონილი და ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიანი იქნებიან. ეს სისტემები უნდა უზრუნველყოფდნენ თავიანთ თავს, არ ანადგურებდნენ გარემოს და ხანგრძლივად მდგრადი რჩებოდნენ.

პერმაკულტურის საფუძვლად უდევს ბუნებრივი სისტემების დაკვირვებით შესწავლა, ტრადიციული სოფლის მეურნეობა და მცენიერულ-ტექნიკური ცოდნა.

თანამედროვე იაბონელი მოაზროვნის-მასანობუ ფუკუოკას განხილვებით პერმაკულტურა – ეს არის ბუნებასთან თანამშრომლობის და არა მასთან ბრძო-

ლის ფილოსოფია, რომელიც გულისხმობს ხანგრძლივ და გააზრებულ დაკვირვებას და არა ხანგრძლივ და უაზრო ფიზიკურ შრომას; ესაა ფილოსოფია, რომელიც გულისხმობს მცენარეებისა და ცხოველებისათვის დამახასიათებელი ყველა ფუნქციის გათვალისწინების აუცილებლობას.

პერმაკულტურა – ეს არის სისტემა, რომლის მეშვეობითაც ჩვენ შეგვიძლია ვიარსებოთ დედამიწაზე, ვისარგებლოთ იმ კვებით და ბუნებრივი რესურსებით, რომელიც უზრუნველყოფს, მხოლოდ იმ პირობით, რომ ამით დედამიწაზე სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. ბუნებასთან პარაზიტული შესაძლებელია იმ პირობით, თუ უარყოფით მასზე ბატონობის იდეას.

პერმაკულტურის ეთიკა წარმოადგენს მორალური მრწამსისა და კონკრეტული საქციელის ერთობლიობას, რომლის მიზანია ჩვენი დედამიწაზე არსებობის უზრუნველყოფა. ეს ეთიკა მოიცავს სამ მომენტს: ზრუნვას დედამიწაზე, ზრუნვას ადამიანებზე და აგრეთვე საკუთარი თავისუფალი დროის, ფულითა და ენერჯიის დათმობას იმისათვის, რომ შეიქმნას შესაძლებლობა, პირველი ორი მიზნის საუკეთესოდ მიღწევისთვის.

ზრუნვა დედამიწაზე ნიშნავს, ბუნების ყველა ცოცხალ და არაცოცხალ კომპონენტზე–წივი, ატმოსფერო, წყალი, ტყეები, მცენარეები, ცხოველები, ბაქტერიები–ზრუნვას. ეს გულისხმობს მოქმედებებს, რომლებიც არ აზიანებენ ბუნებას, აღდგენენ სამუშაოებს, ბუნებრივი რესურსების გამართლებულ და ზომიერ გამოყენებას, გარემოსათვის სასარგებლო სისტემების შექმნას.

დედამიწაზე ზრუნვა მოიცავს, აგრეთვე, ზრუნვას ადამიანებზე და გულისხმობს მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას საკვებით, საცხოვრებელი, განათლებით, ღირსეული სამსახურით და ადამიანური ურთიერთობებით. ზრუნვა ადამიანებზე მეტად მნიშვნელოვანია.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ადამიანები, ბუნების მხოლოდ მცირედენ

ნაწილს შევადგენთ, ჩვენი ზემოქმედება მასზე გადამწყვეტია. თუ ჩვენ თავადვე შევძლებთ უზრუნველყოფით ჩვენი ძირითადი მოთხოვნილებები, მაშინ აღარ იარსებებს მუდმივ დამოკიდებულებაში ყოფნისა და საკუთარი უზომო მადის ნაქებების აუცილებლობა, რასაც ბუნების განადგურებისაკენ მივყევართ.

პერმაკულტურის ეთიკის მესამე კომპონენტს წარმოადგენს საკუთარი თავისუფალი დროის, ფულისა და ენერჯიის დათმობა ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მას შემდეგ, როცა საუკეთესოდ მოვაგვარებთ საკუთარ ცხოვრებას, ჩვენ შევძლებთ გამოვიყენოთ საკუთარი გამოცდილება და შესაძლებლობები, რათა დავეხმაროთ სხვებს, იგივე შედეგების მიღწევამ.

